№ 48 4 მარტი, ქვირა 1866—1879 4 მარტი, ქვირა № 48

2 N 35

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Варовъ ქცხოვრებათათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Цалкე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] ასოებით სტროქონზე—8 [illegible] ციფროთი—5 [illegible], [illegible]—4 კაპ.

რედაქციას უფლება [illegible] ევს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. [illegible] ლი სტატიები ავტორს არ [illegible] დება.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტირნოვო, 1 მარტს. ოსმან-ბაზარის აჯანყებული ოსმალოები დაიმორჩილეს.

სტამბოლი, 1 მარტს. სერვერ-ფაშამ უარი განაცხადა ტრაპიზონის გუბერნატორობაზე.

სტამბოლი, 28 თებერვალს. დღეს ინგლისის ხომალდები ბეზიკის ბუხტაში ბრუნდებიან. აჯასუნიტის პატრიარხმა დასტოვა თავისი თანამდებობა და მიდის რომს პაპისთვის შენდობის სათხოვნელად.

ვეტლიანკა, 28 თებერვალს. ეიხვალდმა და ბესტიუჟევ-რიუმინმა დაიწყეს ყველა მცხოვრებთ ცალ-ცალკე განხილვა.

პეტერბურღი, 1 მარტს. ტირაჟი მეორე შინაგანი სესხისა 1-ს მარტს. შემდეგ №№-ბს ხვდა უმთავრესი მოგება:

სერიის №№	ბილეთის №№	ჯამი მოგების
12,898	44	200,000
1,508	43	75,000
11,412	23	40,000
2	40	25,000
16,779	4	
7,603	2	10,000
13,803	30	
12,406	6	
11,142	41	
11,720	44	8,000
6,349	8	
4,965	45	
14,188	48	
16,719	3	
12,826	36	5,000
16,316	14	
4,922	3	
14,121	42	
17,189	15	
11,019	44	
5,231	29	
18,946	26	
18,340	5	
12,228	31	
577	50	
5,588	41	
15,592	26	
1,657	36	
16,595	36	
15,682	31	1,000
1,954	8	
10,092	28	
575	50	
12,197	32	
15,771	47	
3,276	12	
13,366	29	
19,072	50	
12,078	32	
7,085	35	

საქართველო

კიდევ ერთი მსხვერპლი

ამ დროს უმთავრესი ნაკლულევანება არის საზოგადოების უდარდელობა, უყურადღებობა იმ ვიწრო ასპარეზზე, იმ ცოტაოდენ საქმეებში, რომლებშიაც შეიძლება იმის დახმარებით, ენერგიულის გარეეთ წამხდარი მიყრუებული მდგომარეობა გასწორდეს. სადმე ავსტრიაში ვენგრების, ან ჩეხების შკოლებში რომ ვინმე სულით და ხორცით წამხდარი მასწავლებელი ან მმართველი ჩასაფრებულიყო, მთელი ვენგრიის საზოგადოება, მთელი ჩეხის თემობა ადრესებითა და თხოვნით არ მოასვენებდენ ადგილობრივს მთავრობას, სანამ ამ ულირსო კაცებს ახალ მოზარდს თაობას არმოაშორებდენ. სადმე ოსმალეთის ქვეყანაში სომხის, ან ბერძნის შკოლაში რომ ყმაწვილების მჩაგვრელი და უმეცარი ზედამხედველი განწესებულიყო, მაშინვე სომხის, ან ბერძნის ეპისკოპოზი თავის მრევლიგარშემოსხმით უმორჩილეს თხოვნას მიართმევდა ალაგობრივ ფაშას ან კიდევ ფაშაზე უფროს,—კვეხსენით ამ ურიგო და უწესო ჩვენი შვილების გამზრდელისაგანო. ამ გვარის თხოვნისა და საფუძვლიანის დამტკიცების შემდეგ ადგილობრივი მთავრობა ერთს დღესაც არ დააყენებდა ზემოხსენებულს შკოლის

ფელეტონი

ცოდნანი თავის თავის თვით-შენახვისათვის

ჰერბერტ სპენსერის აზრით, რომელსაც არ შეიძლება არ დაეეთანხმოთ, ცოდნანი თავის თვით-შენახვისა, არიან უპირველესნი და უაღრესნი ყველა გვარ ცოდნათა შორის. არსებობენ ეს ცოდნანი ჩვენს ხალხში? სამწუხაროდ თითქმის სრულიად არა! საითკენაც გაიხედავთ ამ ჩვენ ტურფა ქვეყანაში, ყველგან ცხადათ იხილავთ ამ თვით შენახვის უცოდინარობას! როდესაც განათლებულ ქვეყნებში, ათას სულზე 15—20 სული ჰკვდება, ჩვენში ორმოცსაც არ ჰაჯერდება ეს წყეული და შეუბრალებელი სიკვდილი!

კიდევ კარგი, რომ ის ცოდნა, რომელიც ხელს გვიმართავს ჩვენის თავის თვით-შენახვაში, მომეტებულათ მკვიდრ გზაზე დგას. ეს ცოდნა ესეთი ძვირფასი რამ არის, რომ ბუნებას დაეულსნია იგი ჩვენი ზანტი ყურადღებისაგან და თვითონ უკისრნია მასზე მზრუნველობა. აი პატარა ბავშვი, რომელიც არხეინად თამაშობს ძიძის კალთაში; იგი სწრაფად იმალავს პირის სახეს და ყვირის, როდესაც ხედავს ვისმეს უცნობს. ეს მოვლინება ცხადათ გვიჩვენებს, თუ რომ ბავშვი ინსტიკტურად მეცადინეობს თავი დაიფაროს იმისაგან, რაც მას არ ეცნობება და რაც შეიძლება რომ საშიშარი იყო მისთვის.

აი ბავშვი მოიზარდა და დაიწყო სიარული; მან დაინახა უცხო ძაღლი და ყვირილით მორბის დედასთან; ეს მოვლინებაც გვიმტკიცებს ამავე ინსტინკტის არსებობას ადამიანში.

ამას გარდა ბავშვი ყველგან და ყოველთვის მხოლოდ იმ მეცადინეობაშია, რომ შეიძინოს ის ცოდნა, რომელნიც მას დაიცვენ ფატერაკისაგან, მაგალითად: როგორ შეიმაგროს თვისი სხეული ერთ და იგივე მდგომარეობაში, რა მიმართულება მისცეს თვის მოძრაობას, რომ თავი იღსნას დატაკებისაგან; რა საგნები უფრო მაგარნი არიან და ტკივილს აგრძნობინებენ თუ დაეჯახა მათ; რა ნივთები ასე მძიმენი არიან, რომ ვნებას მოუტანენ, თუ რომელიმე სხეულის ასოს ზედ დაეცა ანუ მოჰხვდა; რა ვნება ეძლევა ადამიანს ცეცხლისაგან დაწვით, წვეტიანი თუ მჭრელი იარაღებისაგან დაჭრილობით.

ყოველს ამას ბავშვი ცდილობს შეითვისოს. შემდეგ, როდესაც ეს პატარა ადამიანი მოიზრდება, იგი უფრო დარბის, ადის-ჩამოდის ხეებზე, თუ კლდეგორაკებზე, თამაშობს და მოძრაობს ათას გვარად, და ამით იძენს ფიზიკურ ძალას და სიმარდეს. ბავშვი გულ-მოდგინებით ემზადება—თუ როგორ დაიჭიროს თავისი თავი, მის გარშემო მყოფ

ზედამხედველს ახალგაზდობის მზრდელათ.

ჩვენ, ეს მეექვსე წელიწადია, რაც გვესმის ჩვენი სასულიერო სემინარიის უწესო შინაური მდგომარეობა, სადაც ამდენი ხალხის შვილი უნდა გამოიზარდოს, და საიდამაც ხალხს უნდა მიეცეს ღირსი სასულიერო მოძღვრები, საუკეთესო გზის მაჩვენებლები ცხოვრებაში.

ჩვენ წარბ შეკმუხვნით წაიკითხავთ ხოლმე გაზეთებში შიმშილ წყურვილისაგან უდროოთ გამოკლებას ჩვენის ახალგაზდობის ჯერ კიდევ ნორჩის ნაყოფისას, აგვიდუღდება ჯავრით გული იმ ერთს წამს; მაგრამ მერე კი უცბათ მიგვავიწყდება. ან ავაბოლებთ ჩიბუხს ნაღვლის გასაქრობათ, ან გავისეირნებთ და საქმე და მითი გათავდება.

შეუფერებელი გარემოება ჩვენს შკოლებში კი უწყალოთ და შეუბრალებლათ სცელავს ჩვენს მომავალს იმედს, ჩვენს ნორჩს მოსწავლე ახალგაზდობას. ვინ კითხულობს, ვინ ინაღვლის, ვის სტკივა თავი, ან ვინ უნდა იზრუნოს ამ საქმისათვის, ვინ უნდა გამოიდვას თავი თავის მომავალის ბედ-იღბალისათვის? რასაკვირველია იმან, ვისაც ეს ახალ მოზარდი თაობა ეკუთვნის. მაგრამ რას ვამბობ? ბანა კი არის სადმე ის პირი, რომელიც ზრუნავდეს ამის გულისათვის? ან ვთქვათ, კიდეც იყოს, რანაირათ იზრუნოს, რანაირათ უნდა წარდგას იმან პირველი ნაბიჯი, როდესაც იმას დიდი ხანია ამ ნაბიჯის გადასადგმელი ძარღვები შეკვეცია, და დიდიხნის თვით უმოქმედობის გამო თავის აჩრდილისაც კი ეშინია.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ თებერვლის 26-ს ერთი მესამე კლასსის შაგირდი გვარად Oოფურია, გადაცვლილა სემინარიაში. მიზეზი გარდაცვალებისა, როგორც დაგვარწმუნეს, იყო თურმე ცუდი საჭმელ-სასმელი. აყროლებული ხორცითა და გაფუჭებული, დამპალი კომბოსტოთი ხეთქენ თურმე ყმაწვილებს. ერთი ყმაწვილიც არ მოიძებნებაო სემინარიაში, რომ მრთელი კუჭი ჰქონდეს, ყველა ავათ ხდება ამ ცუდი საჭმელისგანაო.

მაგრამ უბედურება ეს არის თურმე, რომ ავათმყოფსაც, სანამ ფეხზე დგომა შეუძლიან, ვერ გაუბედნია საავათმყოფოში წასვლა, რადგან უფ. ინსპექტორი ქუეშინსკი არ უშვებს და თუ გაუშვა და დაწვა, ახლა რექტორი შეევა საავათმყოფოში და დაუწყებს საბრალო ავათმყოფ შაგირდს შარცხვენასა და კიცხვას, რომ ზარმაცი ხარო, სწავლა გეზარებაო და იმიტომ მოსულხარ საავათმყოფოშიო.

აბა, რა უნდა ექნათ ამის შემდეგ? ნუ თუ ვისაც სიცოცხლის ძარღვი აქვს, ვინც გავლენის მექონი კაცია/ ამ ჩვენს საზოგადოებაში და ვინც ჩვენი საზოგადოების მოთავეა არ უნდა ეცადოს აღძრას ამ საგანზე კითხვა: მართალია თუ არა ეს გარემოება, ან რისგან ჰხდება ამისთანა დაუდევრობა? ჩვენში ყოველთვის ასე ყოფილა და აქამდის ასე ჰხდება: Oმოჰყოფს თუ არა თავს ამისთანა უბედური შემთხვევა, მაშინვე უბრუნველობის ჯურმულში ჩაიძირება და გაჰქრება. ვინ არის იმის მიზეზის გამომძიებელი? მაგრამ გამოუძიებლათაც მალე ეტყობილობთ ამის მიზეზს. სემინარიის შაგირდის Oოფურიას სიკვდილს შემდეგ გადის ერთი თვე და, აი, თვითონ იმის სიკვდილის საზოგადო მიზეზიც ცხადდება იმავე გაზეთში. შეგირდებს ეძლევათ სამ წელიწადში ერთი პალტო, თხელი მაუდისა, ძალიან თხლათ დაბამბული, და ორ წელიწადში თითო სერთუკი. ტანისამოსის შეკერვის შემდეგ მეორე წელიწადსვე შაგირდები საცდავათ შემოფლეთილები ზამთრის ყინვებში დაიარებიან. Oმას გარდა აცვიათ საზაფხულო პარუსინის შალვრები და ამ სახით აბანოდან გამოსულნი ცივდებიან ქუჩაში, მოზდით ანთება, ზოგი კვდება და ზოგი სნეულდება სამუდამოთ.

მაგრამ ეს კიდევარაფერი. ვნახოთ როგორ იქცევა ამასთან თვითონ სემინარიის რექტორი? Oმას წინათ ერთ საწყალი დედის შვილი სულიერებდა ამ სემინარიაში.

ჩამოვიდა მისი დედა, და თავისი შვილის თამასუქი და ფული მოითხოვა, მაგრამ რექტორმა ჯერ უარი უთხრა მას,—ფული შენი შვილის დახაფლავებაზე დაგეხარჯაო; მაგრამ ქვრივი რომ აღარ მოეშვა, ამან თამასუქი მისცა და ფულზე კი გადწყვეტილი უარი უთხრა.

Oმ გვარია სემინარიის მდგომარეობა და არც შეიცვლება ის, სანამდის ჩვენი საზოგადოება უფრო გულ მხურვალეთ, უფრო ენერგიულათ არ მიიღებს მონაწილეობას თავის ახალგაზდობის ბედიღბალში, სანამ თვითონ არ მოჰკიდებს ხელს ამისთანა საქმეებს და არ ამოიღებს ხმას ყოველად მოწყალე უმაღლესს მთავრობის წინაშე.

ბ. წერეთელი

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

*** „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი დოქტორის მინკევიჩისა:

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთავარ-მმართველის თანაშემწემ, ამას წინათ, დანიშნა კამისია, რომელსაც უნდა დაემზადებინა ყოველისფერი, რაც კი საჭირო იქმნებოდა კარანტინის ხაზის გასავლებლათ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამთავარ-მართველოს და Aსტრახანის გუბერნიის შუა, თუ კი საჭიროება მოითხოვდა ამას. ᲓᲦᲔᲡ ეს კამისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ დროებით გენერალ-გუბერნატორმა, გრაფ ᲚᲝᲠᲘᲡ-მელიქოვმა შესაძლოთ დაინახა გაეუქმებინა გარეშე კორდონის ხაზი Aსტრახანის გუბერნიის სამზღვარზე, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ საქმისთვის დანიშნული ჯარი, ახლოს სადმე იქნება დაბინავებული, რომ ვინიცობაა თუ ავათმყოფობა ისევ სადმე გამოჩნდა, ხელ-ახლად დაყენონ ჯარი საცა საჭიროება მოითხოვს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ თავსმჯდომარე Iვ. მინკევიჩი

1879 წელს, 2 მარტს.

საგნებთა და მოძრაობათა შორის; და აგრეთვე, როგორ დაუხვდეს და გაუძლოს იმ უდიდეს საშიშროებებს, რომელნიც შემთხვევით მრავალჯერ დახვდებიან მას მომავალ ცხოვრებაში.

ბამოდის, რომ ეს პირველ-დაწყებითი აღზდა ასე მკვიდრად შემოფარდულია თვით ბუნებისაგან, რომ ჩვენგან ძლიერ ცოტა მეცადინეობა-ღა მოგვეთხოვება. აქ ჩვენ უნდა მხოლოდ სრული ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ბავშვს მუდამ სრული შეძლება ჰქონდეს მოიპოვოს ზემოთქმული გამოცდილება. ჩვენ უნდა მოესპოთ ის წინააღმდეგობა ბუნების მოთხოვნილებისა, როდესაც ჩვენი უგუნური აღმრზდელნი ქალნი თუ კაცნი ჩააგონებენ ხოლმე მათ ანაბრობაზე მიბარებულ შაგირდებს ქალებს თუ ეაქებს, რათა მათ თავისუფლათ გული ისრულონ თამაშობაში თუ სხვა რომელიმე ფიზიკურ მოქმედებაში.

მაგრამ ნუ გვგონია, რომ ამით სრულიად თავდებოდეს ჩვენი აღზდა და სწავლა, რომელიც გვამზადებს ჩვენ თავის თვით-შენახვისათვის. გარდა ამისა, თუ როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი სხეული საზოგადოთ გარეგანი მავნე მიზეზებისაგან, ჩვენ კიდევ უნდა ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ იგი სხვა მიზეზებისაგანაც: ავათმყოფობისაგან და უდროო სიკვდილისაგან. სრული ცხოვრებისათვის საჭიროა არა მხოლოდ ის, რომ დავიღსნათ თავი უდროო სიკვდილისაგან, არამედ ისიც, რომ წინათვე ავიცდინოთ თვით სხეულის დასუსტება, უდროო დაძღვევა.

მართალია ამ შემთხვევაშიაც ცოტათ თუ ბევრათ, ჩვენ გვყავს კარგი ხელმძღვანელი—ბუნება. ბუნებას საკმაოთ დაუჯილდოვებია ადამიანი მცნებით და სიამოვნებით. მაგალითად: საზრდოს დაკლება, წყურვილი და სიცივე ყოველთვის საშინელი ძალით ითხოვენ დაკმაყოფილებას. Oს იმ გვარი მოთხოვნილებაა, რომ შეუძლებელია პირველსავე მოთხოვნაში არ დაკმაყოფილოს კაცმა; და თუ ადამიანი მუდამ აკმაყოფილებდეს ამ გვარ და ამაზე მცირე სხეულის მოთხოვნილებასაც ქვეყანაზე უფრო ნაკლები უბედურება ექნება. აგრეთვე თუ დაღლილ სხეულს, ანუ ტვინს ყოველთვის ეაძლოთ შესაფერი მოსვენება; თუ მძიმე სუნი სახლში ყოველთვის გვაიძულებდეს ჰაერის გაწმენდას; თუ არც ეჭამდეთ, არც ესვამდეთ თუ არ მოშივების და წყურვილის დროს და სხვა, ჩვენს სხეულს იშვიათად ეწვევოდა ავათმყოფობა.

მაგრამ საუბედუროთ ჩვენში არსებობს ესეთი საშინელი უმეცრება, რომ ჩვენ თითქმის სრულიად არც კი ვიცით, რომ ეს ზემოხსენებული მცნებანი არიან უპირატესნი და უკეთესნი ხელმძღვანელნი ჩვენის ბედნიერის სიცოცხლისა.

ერთი გაიხედეთ რა სუფთა და თბილ ოთახში ცხოვრებს ქართველი კაცი?

*** „თფილისის მოამბემ“ მიიღო ლაღოდაღიდამ შემდეგი ამბავი:

„18 თებერვალს, ადგილობრივ მაზრას მაზამჩაის, ლეკის მწყემსებს და ტყის მცველებს მოსვლიათ ერთმანერთთან ჩხუბი ტყის მოჭრისა და საბალახე ადგილებისათვის. ჯერ ერთმანეთი უცემნიათ და შემდეგ თოფების სროლაც მიუყოლებიათ. ერთი ლეკი მოკლულა და ძეორე მისივე ამხანაგი დაჭრილა.

*** ჩვენ შევიტყეთ ნამდვილათა რომ ქახეთისაკენ დაეით ბარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკაში ოთხმოცამდინ ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები მოპოვება, მათს რიცხვში ბევრი ძალიან ძვირფასი წიგნებია, რომელნიც ჩვენს ლიტერატურაში კარგს ალაგს დაიკავებენ. იმ ბიბლიოთეკის კატალოგსა ჩვენ შემდეგ დავბეჭდავთ და გავაცნობთ ჩვენს მკითხველს.

*** ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში, ერთი ებისორული გაზეთი, რომელიც ასირიასში გამოდის თურმე, ამ გაზეთში ხანდისხან საქართველოდამ კორრესპონდენციებიც იგზავნება თურმე. ბაზეთი თვეში ერთხელ გამოდის.

*** წასრულს კვირას თფილისის ბლაღოჩინების ამორჩევა იყო. ბლაღოჩინათ ამოურჩევიათ ისევ მღვდელი პავლიევი. ეს პატივცემული მამა განთქმულია სასულიერო სემინარიაში, სადაც კომიტეტის წევრათ არის, თავისის დევნით ქართულის ენისა.

უცხო ქვეყნები

პარიჟის გაზეთში, „Journal des Debats“, 3 მარტიდამ, დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა: ჩვენ გვაქვს საკმაო საფუძელი ვაცნობოთ ჩვენ მკითხველებს, რომ „აზრი ევროპიულ სახელმწიფოების ელჩებთ შეყრისა ერთს რომელსამე ევროპის სატახტო ქალაქში, კონფერენციის შესადგენელათ, თან და-თან იზრდება და შოულობს მომხრეებს. ამბობენ, ინგლისის მმართებლობაც მზათ არის მიიღოს მონაწილეობა ამ კონფერენციაში, სადაც იქმნება განხილული ის დაბრკოლებანი, რომელნიც დახვდენ ბერლინის ტრაქტატის ასრულებას და ის სტატიები, რომელნიც დარჩენ სადაოთ. მართლაც ცოტა კი არ არის იმისთანა კითხვები. იმათი გადაწყვეტა საჭიროა ნამეტურ იმ დროს, როდესაც მოახლოვდა რუსეთის ჯარის ოსმალეთიდამ გაყვანის ვადა.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

მე მინდა მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა შესახებ ჩვენის ახალათ დაარსებულ-სასწავლებლისა და უეჭველია, რომ ამ წერილს თქვენს გაზეთში ადგილს მისცემთ.

როგორც „დროებაშიც“ იყო გამოცხადებული ამას წინათ, ამ ჟამად უკვე გაიხსნა თფილისში, ებრაელების სასწავლებელი, სადაც გაიზდებიან უფრო ღარიბი კაცის შვილები, ამ სასწავლებლის მასწავლებელნი უკვე მოვიდნენ აქა და აგრეთვე ჩვენი უდიდესი რაბინი. რაბინი ჩამოგვივიდა პარიჟიდამ, და ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება; როგორც მოგეხსენებათ ის უფრო იმისთვის მოსულა, რომ დაესწრას ურიების საქმეს და შემდეგ კი სამუდამოთ თფილისში დარჩება. როგორც ისმის ძალიან განათლებული და პატიოსანი კაციაო, ჩვენც ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ეგება ერთი ხეირიანი პატრონი გამოგვჩნდეს აქა, და აგრეთვე ყურადღება მიაქციოს ჩვენს ხახმებსა და თორებსა, სადაც მრავალი უწესობა არსებობს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დღეის შემდეგ ჩვენ გვეყოლებიან „განათლებულნი ხახმები და მცოდნენი ყოველი ჩვენი სასულიერო საქმეების; ეს რასაკვერველია ჩვენი ახალი რაბინისაგან მოხერხდება.

სასწავლებლის დაარსება ჩვენს მატიანეში შესანიშნავს მოვლენათ ჩაითვლება, რადგანაც ასეთი სასწავლებლის დაარსება საქართველოში პირველი მაგალითია. შეუეველია რომ ამითი დღეის შემდეგ ჩვენი ცხოვრება ცოტათი მაინც შეიცვლება და მოგვეენიჭება ცოტაოდენი განათლება და ცხოვრების სახსარი.

ერთი შენიშვნა კი უნდა მოგახსენოთ და უეჭველია, რომ ამაზე თქვენც დამეთანხმებით. ამ ჩვენი სასწავლებლის პროგრამმაში ქართული ენა სრულებით ნახსენები არ არის. საქართველოს ებრაელებს ქართული ენა უნდა ასწავლონ, რადგანაც ამათ ეს ენა ისე აქვსთ შეთვისებული, როგორც სამშობლო.

ჩვენთვის და საზოგადოთ მთელი საქართველოს ურიებისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული ენის ცოდნა, რადგანაც ჩვენ ყველანი ვაჭრობაში ვართ ჩავარდნილნი. ამას გარდა ჩვენმა ქართველ ურიების ყმაწვილებმა სრულებით არ იციან ებრაული და რუსული ენა და ამათ თუ პირველ დაწყობით იმ ენაზე არ მიეცათ სწავლა, რომელიც მათ ესმით ე. ი. ქართულათ, მგონია, რომ მაშინ დაირღვევა ყოველი პედაგოგიის ჭეშმარიტება; მით უფრო რომ ამას წინათ გადაწყვიტა უმაღლესმა მთავრობამ, რომ სწავლა პირველ დაწყობით სამშობლო ენაზე უნდა წავიდესო.

იქნება ჩვენმა უმაღლესმა პირებმა ქართული ენა ჩვენ ენათ არ ჩათვალონ და მისთვის არ შეიტანონ ჩვენს სასწავლებელში; ამის გამო მიმართავთ ავკაზის სამასწავლებლო მზრუნველს, უფ. იანოვსკის რომ გვიშუამდგომლოს ამ საქმეში და პირველ დაწყებით ჩვენს ყმაწვილებს ქართულს ენაზე ასწავლონ, რადგანაც ესენი აქ აღზდილან, აქ დაბადებულნი, ამ ენაზე ლაპარაკობენ, ამ ენაზე ლოცულობენ, ამ ენაზე ეკითხებიან ერთმანეთს, ამ ენაზე ეუბნებიან ერთმანეთს, ამ ენაზე ეუბნებიან ერთმანეთს, ამ ენაზე ეუბნ

დებულან და აქვე დაიხოცებიან.

Იძედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს თხოვნას რუსულ გაზეთებშიაც გადაბეჭდვენ და ამით შიგეეწვეიან, თორემ ჩვენი ყმაწვილები ძალიან დაიჩაგრებიან ენის უცოდინარობითა.

�brayeli ზაქარია
ბაბრიელასშვილი

ГАНСЦХАДЕБАНИ

ნარდათა და წვრიმანი ვაჭრობა თამბაქოსა და პაპიროზებისა

„სულთანის“ ფირმისა (უფ. ნ. მამიკონოვისა) არის შუა-ბაზარში ჟურჟჩიხანაში. ვინც ნარდათ დიდძალ საქონელს ჰყიდულობს, იმათ თამბაქო და პაპიროზები დადებულ ფასსზე ნაკლებათ დაეთმობათ. (3—2)

ხეხილების გაყიდვა

ბუნიბის მეიდნის ბალაგანში, Ცირკის ახლო, ამ თებერვლიდამ ისყიდება სხვა-და სხვა გვარი ხეხილები Იოსებ Იაკობის ძის Ილიაშვეიჩის Ყარაიაზის მამულიდან მოტანილი. ამ ხეხილების სიდიდე არის არშინ-ნახევრიდამ ერთ საქენამდინ. Თითო ისყიდება ორ აბაზათ. Ეს ხეხილები დაყნულია სხვა-და-სხვა საუკეთესო ევროპიულ და აზიურ ხეებიდამ. (7—4)

Თფილისის მოქალაქემ მიხეილ შაუეომმა შეიტანა Თფილისის მთავარ-პოლიციმეისტერთან განცხადება, რომ მან ამ სამი თვის წინათ დაჰკარგა 500 მანეთის ბანკის ბილეთი № 834 და სთხოვ-აუფ. პოლიციმეისტერს, რათა მოახდინოს განკარგულება ამ ბილეთის მოძებნისა. (3—3)

მზრუნველი რჩევა თფილისის მიხაილოვის ტეხნიკური და რკინის გზის სასწავლებელისა მიიღებს რა მხედველობაში, რომ ბევრ არიან მსურველები ამ სასწავლებელში შესვლისა და ამის გამო საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ წელს ამ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 16-ს და გაგრძელდება ვიდრე 1 ენკენისთვემდინ.

Ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, თხოვნა და ჯეროვანი დოკუმენტები აგვისტოს 1 რიცხვიდამ უნდა წარუდგინოს სასწავლებლის ზედამხედველს.

Სასწავლებელში შესვლისათვის შემდეგი პირობებია საჭირო: 1) თერთმეტ წელიწადზე ნაკლებისა და ჩვიდმეტზე მომეტებულის არ უნდა იყვეს, 2) უნდა იყოს რუსის ქვეშევრდომი და 3) ისეთი რამ სხეულის ნაკლულევანება არ უნდა ჰქონდეს, რომ რკინის გზაზე სამსახური დაუშალოს.

Პირველს (მოსამზადებელს) კლასში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: სამღვთო წერილიდამ — უმთავრესი ლოცვები; რუსულ ენიდამ — თავისუფლად კითხვა, წაკითხულის თქმა, თავის სიტყვით წერა სხვისი თქმით (დიდი შეცდომებით არ უნდა სწეროს) და უბრალო წინადადების ახსნა (როგორც სამოქალაქო შკოლებში მეორე წელს იციან); არითმეტიკიდამ — უნდა იცოდეს უფრო ციფრები, პირველი ოთხი მოქმედება.

Ამ სასწავლებელში შაგირდებს შეუძლიანთ პურის-ჭამა: თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. შაგირდს მიეცემა მუდამ დღე სადილი და საუზმე. (3—3)

„ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
მ. ჯოლოჯაძისა

გამოვიდა და ისყიდება
„ბუტიაროგა“
ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაეერდოვის ბაზეთის სააგენტოში — ბულვარზე.

ქუთაისში — უფ. ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი — ერთი აბაზი.

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. პოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

ალმანახი
შედგენილი
ბ. თუმანიშვილისაგან
წიგნი მეორე
გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან
ფასი — ოთხი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „ძალი, მული და მაშინიკები“ — თფილისში: ბრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: ბიორგი ბარათოვთან, ბორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამესწინ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

Ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია. — „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
Თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ТЕЛЕГРАФИ

	მან.	კაპ.
Ოცი ხიტყვა Თფილისიდამ:		
Კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
Როსტოვს, Ოდესას, Მოსკოვს	2	—
Პეტერბულს, Პარშავას	2	—
Ოსმალეთში, Შვეიცარიაში. .	3	—
Იტალიაში და Საფრანგეთში .	3	50
Ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) Თფილისიდამ: Სამზღვარ გარეთ, Ქუთაისს, Რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. Ზუგდ. ორშ. და ხუთშ. Ოზურ. — პარასკ. და ორშ. Აბეთს — სამშ. და შაბ. ბ) Ქუთაისიდამ: Თფილისისა და Ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

	მან.	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		
Ლია წიგნის		4
Დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .		8

ბაზანდა

	მან.	კაპ.
Თფილისი, 3 მარტს.		
Ფქვ. თეთ. Ბანჯიხა, ფთ.	1	60
Ფქვილი წითელი . . .	1	20
Ქერი ფუთი	1	10
Ბამბა Მრევლისა, ფუთი .	7	30
— Ამერიკისა, ფუთი . .	8	40
Ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	50
Მატყლი თუშური ფუთი.	6	70
— Თარაქამისა ფუთი . .	4	50
Აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
Ქონი, ფუთი	5	80
Ქონის სანთელი ფუთი .	7	55
Სტეარინის სანთელი, ფთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
— ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
Სპირტი ვედრო	4	60
Შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
— ფხვნილი ფუთი . . .	5	60
Ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
Თამბაქო, საშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

Ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

Ორშაბათს: Ვერმიშევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავად., ქირურიანც — ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

Სამშაბათს: Ვერმიშევი — შინაგ. ა. ბახუტოვი — საბებიო და ბავშვის. პეუნოვი — თვალის.

Ოთხშაბათი: Ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: Ვერმიშევი — შინაგ., ქირურიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

Პარასკევს: Ვერმიშევი - შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო, ქალისა და ბავშვების.

Შაბათს: Ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 3 Марта 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.